

**ევროკავშირის ინსტიტუციური არქიტექტურა:
სუპრანაციონალური,
ინტერგოვერნმენტალისტური
თუ ჰიბრიდული სისტემა?**

მარიამ დარჩია,

მარიამ განუგრაფა

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების
მიმართულების ბაკალავრიატის მე-4 კურსის სტუდენტები

რეზიუმე

ევროკავშირი მსოფლიოში რეგიონული ინტეგრაციის საუკეთესო მაგალითად არის მიჩნეული. მისი ინსტიტუციური არქიტექტურა საკმაოდ კომპლექსური და თავისებურია, რის გამოც არაერთხელ გამხდარა დავის საგანი მოწყობის მიხედვით თუ რომელ კლასიფიკაციას ექვემდებარება ის. ევროკავშირის ინსტიტუტების საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების სპეციფიკიდან გამომდინარე, დღემდე აქტუალურია დებატები ევროინტეგრაციის ორ ძირითად თეორიულ სკოლას - სუპრანაციონალისტურსა და ინტერგოვერნმენტალისტურს შორის. სუპრანაციონალიზმით აღინიშნება პროცესი, რომლის დროსაც გადაწყვეტილების მიღების უფლება დელეგირებულია წევრი სახელმწიფოების ინტერესებზე მაღლა მდგომ ინსტიტუციებზე. ინტერგოვერნმენტალიზმით კი მოიხსენიებენ სქემას, რომლის ფარგლებში საერთო ინტერესების საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად მთავრობები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, სახელმწიფო ინტერესების დასაცავად ინარჩუნებენ ვეტოს უფლებას და არ თმობენ საკუთარი სუვერენიტეტის არც ერთ ნაწილს. ჩვენი კვლევის მიზანია ევროკავშირის ცალკეული ინსტიტუტების ორივე ჭრილში განხილვითა და ერთმანეთთან შედარებით დავადგინოთ ევროკავშირი რომელი მიდგომისკენ იხრება ან/და ხომ არ წარმოადგენს ის ჰიბრიდულ სისტემას.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ინტერგოვერნმენტალიზმი, სუპრანაციონალიზმი, ჰიბრიდული სისტემა, ევროკავშირის ინსტიტუტები, ინსტიტუციური არქიტექტურა, მონყობის მიხედვით კლასიფიკაცია.

ძირითადი ტექსტი

ევროკავშირი 28 დემოკრატიული სახელმწიფოსგან შემდგარი უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მსოფლიოში რეგიონული ინტეგრაციის საუკეთესო მაგალითად არის მიჩნეული. მისი ინსტიტუციური არქიტექტურა საკმაოდ კომპლექსური და თავისებურია, რის გამოც არაერთხელ გამხდარა დავის საგანი მონყობის მიხედვით რომელ კლასიფიკაციას ექვემდებარება ევროკავშირი. იგი თავისი სტრუქტურით არის საერთაშორისო ორგანიზაციაზე მეტი, მაგრამ სახელმწიფოზე ნაკლები, ანუ, უფრო მეტია, ვიდრე ქვეყნების უბრალო კონფედერაცია და ამასთანავე არ წარმოადგენს ფედერალურ სახელმწიფოს. სწორედ ამ უნიკალური თავისებურებიდან გამომდინარე მოიხსენიებენ მას, როგორც *Sui Generis* ერთეულს.

ევროკავშირს აქვს შვიდი ძირითადი ინსტიტუტი, რომელთაც უფლება აქვთ, იმოქმედონ მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულებებით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. კომპეტენციების დანაწილება ორგანოებს შორის ხასიათდება ე.წ. „შემომნება-დაბალანსების“ (*checks and balances*) სისტემით, რომელიც ასევე ინსტიტუციური წონასწორობის სახელითაც მოიხსენიება. იგი არ არის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი კლასიკური გაგებით, თუმცა, ფაქტობრივად, ხელისუფლების დანაწილების მსგავს ეფექტს იძლევა.

ევროკავშირის ინსტიტუტების საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების სპეციფიკიდან გამომდინარე, დღემდე აქტუალურია დებატები ევროინტეგრაციის ორ ძირითად თეორიულ სკოლას - სუპრანაციონალისტურსა და ინტერგოვერნმენტალისტურს შორის. სუპრანაციონალიზმით აღინიშნება პროცესი, რომლის დროსაც გადაწყვეტილების მი-

ღების უფლება დელეგირებულია წევრი სახელმწიფოების ინტერესებზე მაღლა მდგომ ინსტიტუტებზე. იგი განსახილველი სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და სუვერენიტეტის რაღაც დონეზე დაკარგვას გულისხმობს. ტერმინ ინტერგოვერნმენტალიზმით კი მოიხსენიებენ სქემას, რომლის ფარგლებში საერთო ინტერესების საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად მთავრობები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, სახელმწიფო ინტერესების დასაცავად ინარჩუნებენ ვეტოს უფლებას და არ თმობენ საკუთარი სუვერენიტეტის არც ერთ ნაწილს. ინტერგოვერნმენტალისტური მიდგომა ხაზს უსვამს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გავლენასა და უპირატესობას ზეეროვნულ ინსტიტუტებთან მიმართებით. განვიხილოთ, როგორც სუპრაეროვნული ისე სამთავრობათაშორისო მმართველობის არგუმენტები თითოეული ინსტიტუტის შესახებ.

სუპრანაციონალიზმი. ევროკომისია შედგება 28 ევროკომისრისგან, რომელთაც მთავრობები წარადგენენ, მაგრამ მიღებულია, რომ ისინი უნდა მოქმედებდნენ არა ეროვნული მთავრობების, არამედ საერთო ევროპული იდეის გათვალისწინებით. თითოეულ კომისარს ჰყავს თავისი *კაბინეტი*, ანუ მრჩეველთა ჯგუფი. ჩვეულებრივ კომისარს კაბინეტში ჰყავს დაახლოებით ექვსი კაცი. კანონმდებლობის მიხედვით, კაბინეტში შემავალი პერსონალი უნდა იყოს მინიმუმ სამი სხვადასხვა სახელმწიფოდან, ხოლო კაბინეტის ხელმძღვანელი და მოადგილე (Chef de Cabinet და Deputy-Chef de Cabinet) უნდა იყვნენ სხვადასხვა ეროვნების. ეს ხდება პარამუტინგის (გავრცელებული პრაქტიკა, რომლის დროსაც კომისარს თავის კაბინეტში მოჰყავდა ხალხი საკუთარი ქვეყნიდან) თავიდან ასაცილებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ იქ მომუშავე ადამიანებმა დაივიწყონ ეროვნული სენტიმენტები და საერთო ევროპული საქმე აკეთონ.

ევროპარლამენტი მინისტრთა საბჭოსთან ერთად წარმოადგენს ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს. იგი ევროკავშირის ინსტიტუციათა შორის ერთადერთი პირდაპირი წესით არჩეული ინსტიტუციაა. მას წევრი სახელმწიფოებიდან არჩეული 751 ევროპარლამენტარი ჰყავს, რომლებიც პოლიტიკური

იდეოლოგიისა და სპექტრის გათვალისწინებით ნაწილდებიან სახელმწიფოთაშორის პოლიტიკურ ჯგუფებში და არ არიან დაჯგუფებულნი ქვეყნების მიხედვით. ბევრი მკვლევარის კვლევებით დასტურდება, რომ ევროპარლამენტში კენჭისყრის დროს ევროპარლამენტარების უმრავლესობისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია პარტიული კუთვნილება, ვიდრე ეროვნება. ამავდროულად, ყველა ქვეყანაში აკრძალულია ორმაგი მანდატის არსებობა, ანუ არ შეიძლება, რომ ეროვნული პარლამენტის წევრი ამავე დროს იყოს ევროპარლამენტის წევრიც.

ევროკავშირის საბჭო (მინისტრთა საბჭო) შედგება 10 კონფიგურაციის საბჭოსგან, რომელთა შემადგენლობაში შედიან წევრი სახელმწიფოების მინისტრები განსახილველი საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე. წლების განმავლობაში საბჭოში შეიცვალა კენჭისყრის სისტემა და დღეს, ყველა იმ შემთხვევაში, სადაც საჭიროა ხმის მიცემა, მინისტრები ხმათა კვალიფიციურ უმრავლესობას იყენებენ. ასევე მოქმედებს დამბლოკავი უმცირესობის პრინციპიც. ეს რთული სქემა ასუსტებს დიდი სახელმწიფოების ძალაუფლებას და ამცირებს მათ შესაძლებლობას მხოლოდ თავიანთ სახელმწიფოებრივ ინტერესს მოარგონ რაიმე გადაწყვეტილება. უნდა აღინიშნოს მინისტრთა საბჭოს 6 თვიანი როტაციული პრინციპით თავმჯდომარეობა და ე.წ. „ტროიკა“ მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მოქმედი თავმჯდომარე ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს წინა და მომავალ თავმჯდომარე ქვეყნებთან. ეს თავის მხრივ ზღუდავს პრეზიდენტი ქვეყნის შესაძლებლობას, მის სასარგებლოდ გამოიყენოს თანამდებობა.

ევროპული საბჭო ევროკავშირის აძლევს განვითარებისთვის საჭირო სტიმულს და განსაზღვრავს მის ზოგად პოლიტიკურ მიმართულებასა და პრიორიტეტებს. ევროპული საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობის შექმნამ უზრუნველყო ევროპული საბჭოს საქმიანობის დაგეგმვისა და მისი განხორციელების პროცესის უწყვეტობა და სტაბილურობა. მანამდე არსებული 6 თვიანი როტაციული პრეზიდენტობის სისტემის დროს, ქვეყნებს ჰქონდათ საშუალება თავიანთი ეროვნული ინტერესები წა-

მოენიათ წინა პლანზე, ხოლო ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პოსტის შემოღებით უზრუნველყოფილ იქნა საერთო ევროპული პოლიტიკური დღის ნესრიგისა და სტრატეგიების შემუშავება.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო უზრუნველყოფს ხელშეკრულებების პირობების დაცვას, მათ სწორად ინტერპრეტირებას და მაქსიმალურად შესაძლებელი სიზუსტით გამოყენებას. იგი ევროკავშირის სასამართლო ორგანოა. პირდაპირი ეფექტის პრინციპის თანახმად, ევროკავშირის კანონები პირდაპირ და სრული მოცულობით გამოიყენება წევრ სახელმწიფოში. შეიძლება, საჭირო გახდეს სახელმწიფო კანონის შესაბამისობის დადგენა ევროპულ კანონებთან. ევროკავშირის სამართლის უზენაესობის პრინციპის თანახმად, ევროკავშირის კომპეტენციის სფეროებში ევროკავშირის სამართალი უპირატესია სახელმწიფო სამართალთან შედარებით, მათი შეუთავსებლობის შემთხვევაში. ურთიერთალიარების პრინციპის მიხედვით, პროდუქტი, რომელიც კანონიერად ინარმოება და იყიდება ერთ წევრ სახელმწიფოში, არ შეიძლება აიკრძალოს მეორეში. მართლმსაჯულების სასამართლოს სამივე პრინციპი მოწოდებულია, წევრი სახელმწიფოები თანაბარ პირობებში ჩააყენოს და რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს მოთხოვნები კი არ დააკმაყოფილოს, არამედ საერთო ევროპული სტანდარტები წამოწიოს წინა პლანზე.

ევროპის ცენტრალური ბანკი ნაწილია ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემისა, რომელიც ასევე შედგება ეროვნული ცენტრალური ბანკებისგან. მისი ძირითადი მოვალეობა მონეტარული პოლიტიკის განხორციელება და ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა, რაც გულისხმობს ინფლაციის დონის 2%-ზე ქვევით, მაგრამ 2%-თან ახლოს შენარჩუნებას. იგი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში არამართო წევრ სახელმწიფოებთან, არამედ ევროკავშირთან მიმართებითაც. ევროპის ცენტრალური ბანკი ორიენტირებულია ზოგადად ევროსისტემაში უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა და ასევე ხელი შეუწყოს დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას. იგი არ მოქმედებს

რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე და თანაბარ პირობებში აყენებს ყველა წევრ ქვეყანას.

ინტერგოვერნმენტალიზმი. ევროკომისიის კოლეგიაში შემავალი ევროკომისრები ფლობენ სხვადასხვა პორტფელებს. როგორც წესი, პორტფელების გადანაწილების რამე განსაზღვრული წესი არ არსებობს, თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვან პორტფელებს, მაგალითად, როგორიცაა ვაჭრობის, დიდი სახელმწიფოების კომისრები იგდებენ ხელთ და მათ შეუძლიათ ამით ლობირება. ამასთანავე, მიუხედავად დამკვიდრებული პრინციპისა, რომ ევროკომისრები უნდა მოქმედებდნენ საერთო ევროპული იდეის გათვალისწინებით, ხელშეკრულების ამ მუხლის ინტერპრეტირება ყოველთვის რბილად ხდება. ეს გასაგებიცაა, რადგან კომისრები ეროვნული ადმინისტრაციების მიერ არიან წარდგენილნი. შესაბამისად, მათი ერთგულება საკუთარი ქვეყნების მიმართ მაინც შენარჩუნებულია. ბევრი კომისარი ვადის ამოწურვის შემდეგ ისევ ეროვნულ პოლიტიკას უბრუნდება. ამის კარგი მაგალითია რომანო პროდი, რომელიც 1999-2004 წლებში ევროკომისიის პრეზიდენტი იყო, 2006 წელს კი იტალიის პრემიერ-მინისტრი გახდა.

ევროპარლამენტი სანამ პირდაპირი წესით არჩევითი გახდებოდა, დაკომპლექტებული იყო უშუალოდ ეროვნული მთავრობების მიერ წარგზავნილი პარლამენტარებით. პირდაპირი არჩევის წესის შემოღების მიუხედავად, ევროპარლამენტარები სახელმწიფოთა მოქალაქეების მიერ აირჩევიან, რომელთა უკან რეალურად მათი სახელმწიფოები დგას. შესაბამისად, ინტერგოვერნმენტალისტების ხედვით ევროპარლამენტი წევრი ქვეყნების ხელში არსებული ერთ-ერთი რიგითი ინსტრუმენტია, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება შეზღუდული აქვს და მას არ შეუძლია წევრი სახელმწიფოების ნების საწინააღმდეგოდ რაიმე პოლიტიკის წარმოება.

ევროკავშირის საბჭოში საქმიანობის დიდ ნაწილს მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი ანუ კორეპერი ასრულებს, რომელიც დაკომპლექტებულია წევრი სახელმწიფოების მიერ ბრი-

უსელში წარგზავნილი სპეციალური წარმომადგენლებისა და მათი დამხმარეებისაგან. თავად კორეელების საქმიანობაც მზადდება კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების მიერ, რომლებშიც შედიან წევრი სახელმწიფოების დელეგატები და ეროვნული ადმინისტრაციების მიერ მივლენილი საჯარო მოხელეები. როგორც ვხედავთ, მინისტრთა საბჭოში არსებული იერარქიის ყველა დონეზე ვხვდებით ეროვნული მთავრობების წარმომადგენლებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ თავიანთი ქვეყნების ეროვნული ინტერესების გატარება შეუძლიათ.

ევროპული საბჭო წევრი სახელმწიფოების მეთაურების ან სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურებისგან არის დაკომპლექტებული. შესაბამისად, აქ წინ წამოწეულია თითოეული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესი და პირველი პირები ამ ინტერესებიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს. ამასთანავე აქ კენჭისყრის პროცედურა კონსენსუსის საფუძველზე მიმდინარეობს. თითოეული სახელმწიფო სარგებლობს ვეტოს უფლებით და ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია დაბლოკოს რაიმე საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი მის ეროვნულ ინტერესს ეწინააღმდეგება.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს არსებობას როგორც წესი მხარს უჭერენ წევრი სახელმწიფოები, რადგან მათთვის მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი არბიტრის არსებობა, რომელიც სამართლიანად გადაწყვეტს სახელმწიფოთაშორის, ან თუნდაც ნებისმიერ ევროკავშირის ინსტიტუტსა და სახელმწიფოს შორის არსებულ დავებს. ინტერგოვერნმენტალისტების აზრით, სასამართლო ხშირად ხელშეშეკრულია წევრი სახელმწიფოების ინტერესებიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მომავალი გაძლიერება და განვითარება დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების სურვილზე სათავისოდ გამოიყენონ აღნიშნული სასამართლოს მიერ მინიჭებული შესაძლებლობები.

ევროპის ცენტრალური ბანკის საქმიანობის წარმმართველი ძირითადი სამი ორგანოდან ორი, როგორებიცაა მმართველი საბჭო, რომელიც ძირითადი გადაწყვეტილების მიმღებია და გე-

ნერალური საბჭო, რომელსაც საკოორდინაციო და მრჩეველის ფუნქციები აკისრია, შედგება ევროზონის წევრი ქვეყნების ცენტრალური ბანკების პრეზიდენტებისგან. ეს ფაქტი ქმნის საშუალებას სახელმწიფოებისთვის, რომ ევროპულ დონეზე მონეტარული პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება მოხდეს მათი ინტერესების გათვალისწინებით.

საბოლოო ჯამში, ძირითადი ინსტიტუტების საქმიანობის და გადანყვეტილების მიღების პროცედურების სპეციფიკიდან გამომდინარე რომ შევაფასოთ ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობა, ევროკავშირი ჰიბრიდული წარმონაქმნია. მისი ყველა ინსტიტუტი შეიცავს როგორც ზეეროვნულ, ისე სამთავრობათაშორისო ელემენტებს. ნებისმიერ სფეროში გადანყვეტილების მიღებაში, განურჩევლად იმისა, თუ როგორი ტიპის კომპეტენციას მიეკუთვნება მოცემული სფერო, ჩართულია როგორც ინტერგოვერნმენტალიზმი, ისე სუპრანაციონალიზმი. მართალია, ეს არ ხდება ყველგან თანაბრად, მაგრამ საბოლოოდ ისინი მაინც აბალანსებენ ერთმანეთს. მაგალითად, თუ ვაჭრობის და მონეტარული პოლიტიკის საკითხებზე გადანყვეტილების გამოტანის პროცესი ძირითადად სუპრანაციონალური ელემენტებით ხასიათდება, საგარეო პოლიტიკის და თავდაცვის სფეროებში ამ წამყვან ადგილს ინტერგოვერნმენტალიზმი იკავებს. ამასთანავე ე.წ. „შემოწმება-დაბალანსების“ (checks and balances) სისტემა არეგულირებს ორივე სახის მმართველობის თანაბარ გამოვლენას. თუკი, მაგალითად, ევროპულ საბჭოში ეროვნული მთავრობების ანუ ინტერგოვერნმენტალურ დონეზე იგეგმება საგარეო პოლიტიკური ქმედებები, ამ ქმედებების უშუალო განხორციელების ინსტრუმენტები, როგორებიცაა ჰუმანიტარული დახმარებით, განვითარების დახმარებით და ევროკავშირის მაღალმსყიდველობითუნარიანი ბაზრით მანიპულირება, ხელთ უპყრია ევროკომისიას. ასევე ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობის ქვეშ კომისიის ვიცე-პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა კომისრის, მინისტრთა საბჭოში საგარეო საქმეთა საბჭოს მუდმივი თავმჯდომარის პოსტების გაერთიანება მიზნად

ისახავდა გადანაცვების მიღების პროცესში როგორც სუპრანაციონალური ისე ინტერგოვერნმენტალური ელემენტების დამკვიდრებას. თვითონ გადანაცვების მიღების პროცედურებიც სწორედ ამიტომ არის გადანაწილებული რამდენიმე ინსტიტუციაზე. მაგალითად, საკანონმდებლო სფეროში, ევროკომისია საკანონმდებლო ინიციატორია და ბიუჯეტის შაბლონს შეიმუშავებს, ევროპარლამენტს აქვს თანხმობის, კონსულტაციის, თანაგადაწყვეტის უფლებამოსილებები და ასევე მინისტრთა საბჭოსთან ერთად ერთობლივი საბიუჯეტო ძალაუფლება, აქვე რეგიონების კომიტეტსა და ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს მინიჭებული აქვს საკონსულტაციო ფუნქციები. ამ ყველაფერზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირი ჰიბრიდული, Sui Generis ერთეულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაბრიჩიძე, გაგა. *ევროპული კავშირის სამართალი*. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

დეკანოზიშვილი, მარიამ და სერგი კაპანაძე. *ევროკავშირი*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.

Nugent, Neil. *The government and Politics of the European Union*. Durham: Duke University Press, 2006.

Access to European Union law. "Summary of Article 48 of the Treaty on European Union." Last modified July 25, 2016.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:ai0019>

European Commission. "Organisational Structure." Accessed September 29, 2018.

https://ec.europa.eu/info/about-european-commission/organisational-structure_en

European Council; Council of the European Union. "Setting the EU's political agenda." Accessed September 29, 2018.

<https://www.consilium.europa.eu/en/european-council/role-setting-eu-political-agenda/>

European Parliament. "About Parliament." Accessed September 29, 2018.

<http://www.europarl.europa.eu/about-parliament/en>

European Union. "Institutions and Bodies." Accessed September 29, 2018.

https://europa.eu/european-union/about-eu/institutions-bodies_en

REFERENCES:

Gabrichidze Gaga. *European Union Law*. Tbilisi: Institute of European and Comparative Law publishing, 2012. (In Georgian Language)

Dekanozishvili Mariam and Sergi Kapanadze. *European Union*. Tbilisi: Tbilisi State University, 2016. (In Georgian Language)

Nugent, Neil. *The government and Politics of the European Union*. Durham: Duke University Press, 2006.

Access to European Union law. "Summary of Article 48 of the Treaty on European Union." Last modified July 25, 2016.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:ai0019>

European Commission. "Organisational Structure." Accessed September 29, 2018.

https://ec.europa.eu/info/about-european-commission/organisational-structure_en

European Council; Council of the European Union. "Setting the EU's political agenda." Accessed September 29, 2018.

<https://www.consilium.europa.eu/en/european-council/role-setting-eu-political-agenda/>

European Parliament. "About Parliament." Accessed September 29, 2018.

<http://www.europarl.europa.eu/about-parliament/en>

European Union. "Institutions and Bodies." Accessed September 29, 2018.

https://europa.eu/european-union/about-eu/institutions-bodies_en

INSTITUTIONAL ARCHITECTURE OF THE EUROPEAN UNION : A SUPRANATIONAL, INTERGOVERNMENTAL OR HYBRID SYSTEM?

**Mariam Darchia,
Mariam Ganugrava**

Tbilisi State University, Faculty of Social
and Political Sciences, Department
of International Relations, Bachelors,
4th year degree Students

RESUME

The European Union (EU) is believed to be the best example of the regional integration in the whole world. Its institutional architecture is complex and peculiar, so very often it is a topic of discussion and controversy to which classification it could be assigned to. The EU's institutes' working process and legislation procedures are still popular among two European integration theoretical schools: Supranational and Intergovernmental. A supranational is a type of multinational political union where negotiated power is delegated to an authority by governments of member states. Intergovernmentalism means that different governments cooperate for their mutual interests, remain veto power and never give up their sovereignty in the name of their state interests. The aim of our research is to discuss the EU's institutes under both theoretical frameworks, compare them and conclude whether the EU belongs to one of above-mentioned approaches and/or its institutional architecture is hybrid.

Key words: European Union, Intergovernmentalism, Supranationalism, Hybrid system, European Union institutes, Institutional Architecture, classification by architecture.